პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

კვირა
17 ივნისი
1956 წელი.
№ 51 (961)
ფასი 80 კაპ.
გამოცემის მე-12 წელი

ნაკრები გუნდები განაგრძობენ წვრთნას

აქართველოს სპარტაკიადამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ნს რესპუბლიკაში ფიზკულტური- და სპორტის შემდგომ აღმავლობა-. მიმდინარე სეზონის ამ უდიდესმა ობრივმა ღონისძიებამ მრავალი იერი სპორტსმენი გამოავლინა, ვალი ათასი კი დაინტერესა რტით და ჩააბა სექციურ მუშაო-ში. ფიზკულტურულ-სპორტული განიზაციების ხელმძღვანელებისა-ის, მწვრთნელებისათვის ნათელი და ყველა ის ნაკლოვანება, რომე-ც აფერხებს სპორტის ზოგიერთი ეობის განვითარებას რესპუბლი-ში.

როგორც კი დამთავრდა სპარტაკია-, შეჯამდა შედეგები, გამოვლინდა არჯვებული გუნდები, ფიზკულ-ურულ-სპორტული ორგანიზაციები ოდგენ სათანადო დასკვნების გა-ოტანას და პირველ რიგში რესპუბ-იკის ნაკრები გუნდების შევსება-კომპლექტებას. ახალი ძალით გაი-ლა სამზადისი საბჭოთა კავშირის ლხთა სპარტაკიადაში საქართვე-ოს სპორტული დელეგაციის მო-აწილეობისათვის. ამჟამად ჩვენი რთ-ერთი მთავარი მიზანია რესპუბ-ლიკის ნაკრებ გუნდებს შევუქმნათ ოფიერი წვრთნის ყოველგვარი პი-რობა, ამისი შესაძლებლობა ჩვენ გვაქვს და უნდა გავაკეთოთ ყველა-ფერი იმისათვის, რომ ღირსეულად ვუპასუხოთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მამობრივ ზრუნვას.

რედაქცია სპორტის მოყვარულები-საგან ხშირად იღებს წერილებს, რომ-ლებშიც მკითხველები გვთხოვენ გა-ვაცნოთ მათ, თუ როგორ ემზადებიან საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტა-კიადისათვის რესპუბლიკის ნაკრები გუნდები. სპორტის მოყვარულებს აინტერესებს ყველაფერი — გუნდე-ბის შემადგენლობა და წვრთნის პი-რობებიც. რესპუბლიკის მშრომელე-ბი დაინტერესებული არიან, რათა მათი წარგზავნილები ჩვენი სამშობ-ლოს დედაქალაქში — მოსკოვში, წარმატებით გამოვიდნენ, გამოავლინონ მაღალი სპორტული ტექნიკა და მოიპოვონ მელბურნის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ რესპუბლიკის ნაკრები გუნდების წვრთნა არ შეწყვეტილა. ისინი წინასწარი შედგენილი გეგმით მეცადინეობენ. ახლა ზოგიერთი გუნდი აქტიური დასვენებისა და წვრთნის სხვა პირობებში ჩატარებისათვის რესპუბლიკის ზღვისპირა ქალაქებში გაემგზავრა. ასე მაგალითად, კალათბურთელები წვრთნას გაივლიან სოხუმში, მძლეოსნები და მოკრივეები უკვე გაემგზავრნენ ლესელიძეში, ცხენოსნები დიდი ხანია, რაც მოსკოვის დოსააფის მანეჟზე ვარჯიშობენ. ამ დღეებში მოსკოვში გაემგზავრნენ აგრეთვე ველომრბოლელები, რომლებიც კულკინის გზატკეცილზე იმეცადინებენ.

თბილისის ფიზკულტურის პარკში ეწყობა პირველხარისხოვანი იარაღით აღჭურვილი ღია ტანვარჯიშული პავილიონი. აქვე მოეწყობა საერთო საცხოვრებელი და სასადილო ნაკრები გუნდის წევრებისათვის. პარკში იცხოვრებენ და სპარტაკიადისათვის მოემზადებიან აგრეთვე მოცურავეები, წყალში მხტომელები და წყალბურთელები. სასტენდო და ტყვიით სროლაში გუნდები ვარჯიშობენ ბათუმში, ნიჩბოსნები — მცხეთაში, ფრენბურთელები — თბილისში და ა. შ.

ამ დაძაბულ და საპასუხისმგებლო დღეებში რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების წინაშე მეტად რთული ამოცანა დგას — მოამზადონ ნაკრები გუნდი სპორტის 20 სახეობაში ისე, რომ მოძმე რესპუბლიკების გუნდებთან ბრძოლში შეძლონ საპატიო ადგილის დაკავება. ამ მნიშვნელოვან საქმეში საკუთარი წვლილი უნდა შეიტანოს საზოგადოებრიობამ და პირველ რიგში იმ წარმოება-დაწესებულებებმა, რომლებსაც თავიანთი დახმარებით არსებითად შეუძლიათ გარდაქმნან სპორტსმენთა წვრთნის, კვებისა და სხვა პირობები. რასაკვირველია, რესპუბლიკის პარტიული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციები ხალხთა სპარტაკიადისათვის ნაკრები გუნდების მომზადებაში დიდად გვეხმარებიან, მაგრამ ნაკლოვანებები მაინც არის. მაგალითად, ავიღოთ ზაფხულის საცურაო აუზი. ჩვენ ადრევე დავწერეთ იმაზე, რომ საჭიროა გადამწყვეტი ზომები, რათა დროულად იქნას დამთავრებული აუზის რემონტი. მაგრამ, რა ხდება: რემონტი დამთავრდა, მაგრამ წყლის გათბობა ვერ მოხერხდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოცურავეები ცივ წყალში მთელი დატვირთვით ვერ გადიან წვრთნას.

განსაკუთრებული მუშაობის ჩატარება გვმართებს მძლეოსნობასა და ველორბოლაში არსებული სამარცხვინო ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად. უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ნაკრებ გუნდში ბევრი ახალგაზრდა მეორეთანრიგოსანია შეყვანილი, რომლებიც დღეს თუ არა, ხვალ პირველი თანრიგის შედეგს აჩვენებენ, ეს კი მწვრთნელებს ავალებს უფრო გულისხმიერად იმუშაონ ახალგაზრდებთან.

როგორც პოლიტაღმზრდელობითი, ისე სპორტული მაჩვენებლებით კვლავ სავალალო მდგომარეობაშია ჩვენი ველოსიპედისტები. ცუდი შედეგით დამთავრდა როგორც დედაქალაქის, ისე რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები ველორბოლაში. მაგრამ ამ მდგომარეობიდან დასკვნა არც ერთი ველოსიპედისტს არ გამოუტანია, პირიქით, ზოგიერთი მათგანი შეეცადა არევ-დარევა შეეტანა გუნდში და ჩაეშალა რესპუბლიკის ნაკრები გუნდის დაკომპლექტება. ასეთ დეზორგანიზატორებს (ს. გავრილოვა და ა. ელიზაროვა) ჯეროვანი სასჯელი მიეზღათ, მაგრამ ამით მდგომარეობა არ გამოსწორებულა. გუნდში კიდევ არიან ისეთი მიტმასნილი ელემენტები, რომლებიც თავიანთი უღირსი საქციელით არცხვენენ საბჭოთა სპორტის საპატიო სახელს.

მწვრთნელებმა და გუნდის უფროსებმა თავიანთ მუშაობაში დიდი ადგილი უნდა დაუთმონ სპორტსმენთა შორის პოლიტაღმზრდელობით მუშაობას. როგორც ვხედავთ, მხოლოდ-დამხოლოდ სპორტსმენთა ტექნიკურ შედეგებზე ზრუნვას ხშირად უარყოფითი შედეგი მოაქვს. საჭიროა ალსაზრდელი მოვამზადოთ ყოველმხრივ — ტექნიკურად, პოლიტიკურად, მორალურად.

რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში წვრთნა მიმდინარეობს... იმედია საქართველოს სპორტსმენები დაიფასებენ რესპუბლიკის მშრომელთა ყურადღებას და ასახელებენ მათ საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე

მოძმე რესპუბლიკების სპარტაკიადები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაზახეთის სსრ

ამ დღეებში სადღესასწაულოდ იყო მორთული ყაზახეთის სს რესპუბლიკის დედაქალაქი — ალმა-ატა. ქალაქის ქუჩები, მოედნები მორთული იყო პლაკატებით, ტრანსპარანტებით, რომლებიც მოუწოდებდნენ რესპუბლიკის სპარტაკიადის მონაწილეებს ახალ-ახალი წარმატებებისაკენ.

ათასობით მაყურებელი მივიდა „სპარტაკის" სტადიონზე, სადაც გაიხსნა რესპუბლიკის სპორტული ზეიმი. სადღესასწაულო ცერემონიალის შემდეგ სარბენ ბილიკებზე, სატყორცნ სექტორებზე, სპორტულ დარბაზებში და მოედნებზე ერთდროულად დაიწყო ბრძოლა სპარტაკიადის ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად. ამ დღეს ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი მძლეოსნებმა, რომლებმაც გააუმჯობესეს რამდენიმე რესპუბლიკური რეკორდი.

სპარტაკიადის მონაწილეთა შორის ბევრია სპორტსმენი, რომელიც ჩამოვიდა ყაზახეთში ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად. მათგან ყველაზე მეტი წარმატება ხვდათ წილად მძლეოსნებს ვ. რიაბოვს, ნ. ზაიცევსა და სხვებს.

განსაკუთრებით ბევრი მაყურებელი იკრიბება კალათბურთის მოედნებზე, სადაც ერთმანეთს პირველობას ეცილებიან ოლქებისა და ქალაქების ნაკრები გუნდები. ეს გასაგებიცაა. ალმა-ატის გუნდში თამაშობს მაღალი ტანის, 2 მეტრი და 28 სანტიმეტრის სიმაღლის ვ. ახტაევი, რომელიც უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად დაოსტატდა და თამაშის მაღალ ტექნიკას ავლენს.

გაზეთები, რადიო და კინო დიდ ყურადღებას უთმობენ სპარტაკიადის მსვლელობას. ყოველდღიურად გამოდის ამ საინტერესო ღონისძიებისადმი მიძღვნილი სპეციალური გაზეთი.

• • •

სურათზე: სპარტაკიადაზე გამარჯვებული მარათონელები. პირველი ადგილი—ს. ბოროვიკი, მეორე (მარცხნივ) — ვ. პიშნენკო, მესამე (მარჯვნივ) — პ. ელატინი.

ფოტო ი. ბუტნევიჩისა.

უზბეკეთის სსრ

1.800-ზე მეტი სპორტსმენი ჩამოვიდა უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში რესპუბლიკურ სპარტაკიადაში მონაწილეობის მისაღებად. მათ შორის იყვნენ სამარყანდის, ნამანგანის, ყარაკალფასკიისა და სხვა ქალაქებისა და ოლქების მშრომელები — საკოლმეურნეო მინდვრების პატრიოტები, ფაბრიკა-ქარხნებისა და დაწესებულებათა წარმომადგენლები, მოსწავლეები. უზბეკეთის სსრ სპარტაკიადას წინ უძღოდა მრავალი მასობრივი ღონისძიება, რომლებშიც მონაწილეობდა 500 ათასამდე სპორტსმენი. გაუმჯობესებულ იქნა ოლქისა და რესპუბლიკის 100 რეკორდი, 11-მა კაცმა მოიპოვა სპორტის ოსტატის საპატიო სახელი.

რესპუბლიკური სპარტაკიადა გახსნეს მძლეოსნებმა. ქალთა შორის 100 მეტრზე რბენაში ყველა მოელოდა სამარყანდელ ი. პრესის გამარჯვებას, რომელიც წარმატებით გამოდიოდა წინა შეჯიბრებებში, მაგრამ რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა ნ. კლევცოვა (სამარყანდი), რომელმაც აჩვენა 12,7 წამი.

საინტერესო გამოდგა ვაჟთა შეჯიბრება ამ დისტანციაზე. ნახევარფინალში ტაშკენტელმა ი. მონასტირსკიმ გაიმეორა 7 წლის წინათ დამყარებული რეკორდი — 10,7 წამი მაგრამ ფინალში მონასტირსკიმ სტარტი ცუდად აიღო და ამით საშუალება მისცა ტუშკოვს ფინიშთან პირველი მისულიყო.

10 ათას მეტრზე რბენაში თავიდანვე დაწინაურდა ტაშკენტელი სმისლოვი, რომელმაც ფინიშამდე ლიდერობა არავის დაუთმო. გამარჯვებულის დროა 32 წუთი და 54,6 წამი. სპორტთამაშობათა მოედნებზე მიმდინარეობს შეჯიბრებები კალათბურთსა და ფრენბურთში. აქ წარმატებით გამოდიან ტაშკენტელი სპორტსმენები, რომელთა უმრავლესობა თამაშობს რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში.

პირველი მსოფლიო რეკორდი

როგორც ცნობილია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სტუმრად არის სსრ კავშირის უძლიერეს ძალოსანთა ჯგუფი, რომელიც ამხანაგურ შეხვედრებს ატარებს ადგილობრივ სპორტსმენებთან. ამას წინათ შანხაის ფიზკულტურის ცენტრალურ დარბაზში შეიკრიბა ათასობით მაყურებელი. დიდი სიცხის მიუხედავად საბჭოთა შტანგისტებმა აჩვენეს მაღალი ოსტატობა და გამარჯვებულნი გამოვიდნენ ყველა წონით კატეგორიაში. დიდი წარმატება ხვდათ აგრეთვე ჩინელ მეგობრებს. მათ ამ დღეს დაამყარეს 9 ნაციონალური რეკორდი. ახალგაზრდა სპორტსმენმა ჩენ ძინ-კაიმ ([illegible] წონა) აკვრაში აჩვენა 133 კილოგრამი და გააუმჯობესა ამერიკელი ვინჩის მსოფლიო რეკორდი.

იმრავლოს თქვენმა რიგებმა

სპორტის ახალი ოსტატები

ჯ. მექმარიაშვილი

მას სპორტი ბავშვობიდანვე იტაცებდა — პირველად კრივით იყო გატაცებული. მეცადინეობის პირველსავე წელს მან შესანიშნავად დაიცვა თავისი რესპუბლიკის სპორტული ღირსება საკავშირო სარბიელზე, სადაც 1944 წელს დამსახურებული პირველი ადგილი მოიპოვა ჭაბუკთა შორის.

ტემპერამენტიანი მოკრივე რამდენიმე წლის განმავლობაში წარმატებით გამოდიოდა რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებზე. შეიძლება ითქვას, რომ იგი დაუმარცხებლად წავიდა რინგიდან. მას იცნობენ, როგორც საქართველოსა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების ჩემპიონს კრივში.

მთამსვლელთა რიგებში ჩვენ ჯუმბერი პირველად 1950 წელს ვიხილეთ. იგი მონაწილეობდა თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა ალპინისტურ ექსპედიციაში. პირველი ნათლობა მან მიიღო სვანეთის მთებში, მწვერვალ „ლაილაზე" ლაშქრობის დროს. ამის შემდეგ მან კრივი სიამოვნებით გადაცვალა მთამსვლელობაზე.

იგი სარეკორდო დროში ახერხებს ჩვენი რესპუბლიკის ძმაც მთამსვლელთა რიგებში ჩადგომას. ყოველი ახალი სეზონი ჯუმბერისათვის ახალ-ახალი გამარჯვებებით იყო აღსავსე. უშბა, შხელდა, დიხ-თაუ, პუშკინის სახელობის მწვერვალი და ბეზინგის კედლის დანარჩენი მასივები — ასე გამოიყურებოდა მისი აქტივი. კავკასიონის ყველა უმაღლესი კატეგორიის სიძნელის მწვერვალი გადათელილ იქნა შეუპოვარი ქართველი სპორტსმენის მიერ.

მსოფლიო ალპინიზმის დღის წესრიგში დგება სიმაღლოვანი ასვლები. ამასთან დაკავშირებით საქართველოს ა. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბი აწყობს სასიმაღლო ექსპედიციას პამირის მთიანეთში. მოიერიშე ჯგუფის წევრად სხვებთან ერთად ჯუმბერიც იქნა შეყვანილი. ახალი გზით, შტურმით აღებულ იქნა მარქსის სახელობის მწვერვალი, რომლის სიმაღლე უდრის 6.756 მ. გასულ წელს კი პამირში განმეორებით მოეწყო ქართველ მთამსვლელთა ექსპედიცია. იგი ჩვენი ალპინისტების ბრწყინვალე გამარჯვებებით დამთავრდა. მათ დაიპყრეს მოლოტოვის სახელობის, „პრავდის" მწვერვალები, ხოლო მამაცმა ოთხეულმა ჯ. მექმარიაშვილმა, მ კახიანმა, ლ. ახვლედიანმა და მ. ხერგიანმა მოახდინეს ასვლა საბჭოთა კავშირის უმაღლეს მწვერვალზე ი. ბ. სტალინის სახელობის პიკზე, რისთვისაც ჯუმბერ მექმარიაშვილს გადაეცა ოქროს მედალი და სპორტის ოსტატობა მიენიჭა.

სტამბოლის შთაბეჭდილებები

საათის ისარმა რამდენჯერმე შემოურბინა ციფერბლატს, ზარმა წკრიალით ჩამორეკა სამჯერ და გაყუჩდა. დერეფნის ბოლოში დაგვიანებულმა სტუმარმა ხმაურით გაალო ნომრის კარები და შემდეგ მძლავრად მიიხურა. ვიღაც მთვარეულივით დააბიჯებდა წინ და უკან. სართულის მორიგე თუ იყო, თორემ სხვას რა უნდოდა ღამის სამ საათზე სასტუმროში. სადღაც, შორს, მანქანის ხმამ დაარღვია მყუდროება და მალე ისიც მიჩუმდა.

ვერ იქნა და ვერ მოეკიდა ძილი ამ ღამეს გივის. რაღაც მძიმე ლოდივით აწვა მას გულზე — აწუხებდა. უკვე მეასეჯერ აღადგინა გონებაში მან წინა დღის ამბები და ამდენჯერვე მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება. თუმცა ახალი ამ წუთს გივის არაფერი უფიქრია. ბიჭებმა ჯერ კიდევ წუხელ, ვახშამზე გამოიტანეს „სასტიკი განაჩენი" და დაადგინეს ერთხმად — ათლით რევანში თავისუფალ მოჭიდავეთა დამარცხებისათვის.

გივიმ ანაზდად გადათვალა შესაძლებელი კონკურენტები. უმეტესობას კარგად იცნობს — რამდენჯერმე უჭიდავია მათთან. დანარჩენები, შეიძლება ითქვას, მხედველობაში მისაღებნი არც კი არიან. ყველაზე უფრო გივის ათლისთან შეხვედრა აინტერესებდა, რადგანაც თურქთან მას ძველი ანგარიშები ჰქონდა. ჯერ იყო და გივიმ ნეაპოლში მსოფლიო პირველობაზე ათლი სუფთად დაამარცხა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ, თურქმა იაპონიაში რევანში აიღო — აქტივში მსოფლიო ჩემპიონზე ქულებით გამარჯვება ჩაიწერა და აი, გადამწყვეტ მატჩს (გივის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ისინი ერთმანეთს შეხვდებოდნენ) უნდა ეთქვა საბოლოო სიტყვა.

გივიმ დაწვრილებით გაიხსენა თურქის ყველა დადებითი და უარყოფითი მხარეები, აწონ-დაწონა მომავალი მეტოქის შესაძლებლობები. ძველი მედროვე და შემდეგ რომელიღაც ქარხნის მუშა (ასე ყვებოდნენ ათლიზე) ელამი ათლი მართლაც სერიოზული მოწინააღმდეგე იყო. მით უკეთესი. ასეთი მრისხანე პარტნიორის დამარცხება უფრო სასიამოვნო და სასახელოა — გადაწყვიტა მან.

მეორე დილით გივიმ შემთხვევით მოკრა გაზეთში თვალი ჩემპიონების სურათებს. ეშმაკური ღიმილით იყურებოდა მისკენ ძველი ნაცნობი — ათლი. გივისაც გაეღიმა. მაშ ასე, გადაწყდა, თურქი თავისუფალ ჭიდაობაში გამარჯვებით გათამამებული, კლასიკურშიც აპირებს გამოსვლას.

სტამბოლის გაზეთებმა და პირველ რიგში „ისტამბულ ექსპრესმა" ფართო კამპანია გაშალეს კლასიკურ ჭიდაობაში შეჯიბრების წინ. პრესაში იბეჭდებოდა ყველაფერი, რაც კი ამ ღონისძიებასთან იყო დაკავშირებული. იბეჭდებოდა მწვრთნელთა აზრები, ჟურნალისტთა პროგნოზები. განსაკუთრებით პატივისცემაში იყვნენ ქაფლანი, ათანი და ათლი, რომლებმაც ჯერ კიდევ გუშინ მოიგეს პირველი ადგილები თავისუფალ ჭიდაობაში და ამით წათამამებულები ახლა კლასიკურშიც გამოდიოდნენ. თურქებს სურდათ „დუბლი" და სადღაც, გულის სიღრმეში იმედიც კი ჰქონდათ ამისი.

პირველი შეხვედრა გივი კარტოზიასათვის უბრალო წვრთნა იყო მხოლოდ. ლიბანელი რამონისი, ჯმუხი, სქელკისერა ატლეტი, საგრძნობლად ჩამორჩებოდა ოსტატობაში გივის. თვითონაც გრძნობდა, რომ იგი საბჭოთა მოჭიდავის მეტოქე არ იყო, მაგრამ... შეხვედრას ისე უცბად არ წააგებდა, როგორც ბეირუთში. ეს რამონისმა ჯერ კიდევ ლიბანში უთხრა გივის.

ბრძოლა კარტოზიამ მე-8 წუთზე მოიგო, თუმცა ფაქტიურად იგი უფრო ადრე იყო დამთავრებული ორჯერ. როგორც ყოველთვის, მსაჯებმა გამარჯვება „ვერ დაინახეს". როდესაც შეხვედრის პირველი ექვსი წუთი გავიდა, გივიმ ყველასათვის მოულოდნელად ბრძოლის დგომში გაგრძელება არ ისურვა.

— ვყაროთ კენჭი! — მოკლედ მოუჭრა მან არბიტრს.

ჩოქბჯენში დგომამ პირველად გივის მოუწია. მაყურებლების გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა — ნეტავ რატომ აირჩია საბჭოთა ჩემპიონმა მისთვის უარესი მდგომარეობა? რატომ და... ხალხმა აბა რა იცოდა კარტოზიას ხასიათი. გივი კი ასე ფიქრობდა. საჭიროა დარწმუნდნენ მსაჯები, რომ მას არც ძნელი მდგომარეობიდან (ამ შემთხვევაში ჩოქბჯენიდან) გაუჭირდება შეხვედრის მოგება. ამის შესაძლებლობა მათ სულ მალე მიეცათ — დაახლოებით მე-8 წუთზე.

ერთადერთი მეტოქე, რომელსაც გივი არ იცნობდა, შვეიცარელი ვერნერი იყო. პირველი შეხედვით იგი საკმაოდ დაკუნთულ და ფიზიკურად ძლიერი ატლეტის შთაბეჭდილებას ტოვებდა. უნდა ვაცადო, ვნახო რას წარმოადგენს, გადაწყვიტა გივიმ და მოუშვა შვეიცარელი ახლოს. ვერნერი დაფაცურდა, რამდენჯერმე გარს შემოუარა მოწინააღმდეგეს და შემდეგ დაუპირა უკუგდება, მაგრამ შეცდა — ხერხის ჩატარება ზუსტად ვერ მოახერხა და თვითონ აღმოჩნდა ხიდურზე. მისი ბეჭებზე დაწვენა უკვე სიძნელეს აღარ წარმოადგენდა.

მესამე წრეში გივი ისვენებდა. იგი არხეინად უყურებდა ორი ძლიერი მოჭიდავის, იუგოსლაველ სიმიჩისა და უნგრელ გურიჩის შეხვედრას. ბრძოლა დიდი უპირატესობით მიჰყავდა გურიჩს. მოგება მას თითქმის უზრუნველყოფილი ჰქონდა. იუგოსლაველი მწვრთნელი მოუთმენლად ტრიალებდა ადგილზე, ვერ ისვენებდა. ბოლოს მან რაღაც წაუჩურჩულა გივის ყურში, მიიღო მისგან თანხმობა და ხმამაღლა, ლეიბის მიმართულებით დაიძახა.

— სიმიჩ! რისკ!

მწვრთნელის ტაქტიკური ჩანაფიქრი უშეცდომო იყო. სიმიჩი შეხვედრას მაინც აგებდა, უნდა გაებედა... იუგოსლაველმა ეს ბრძოლა სუფთად მოიგო.

მეოთხე წრეს უნდა გამოერკვია ფინალისტები და განა მარტო ფინალისტები? კარტოზია-ათლის შეხვედრისაგან ბევრი რამ იყო დამოკიდებული. ჯერ ერთი პირველი ადგილის ბედი, შემდეგ მათ შორის ანგარიშის ბალანსი და, რაც მთავარია, გუნდების სატურნირო მდგომარეობა, რადგან თურქი წაგების შემთხვევაში ვერ ხვდებოდა სამეულში ე. ი. თურქეთის გუნდი კარგავდა მეტად საჭირო ქულებს.

ათლის ამ შეხვედრისათვის სამი მოგება ჰქონდა, ორი ქულებით, ერთი სუფთად — ზუსტად ისე, როგორც იაპონიაში კარტოზიას. მაშინ თურქმა დააკარგვინა გივის ფინალში გასვლის უფლება. ახლა...

პირველი ექვსი წუთი საყაიმო იყო. როდესაც ჩოქბჯენში ათლი ზემოდან მოექცა, გივიმ მას ორი ქულა წაართვა, ხოლო მომდევნო სამ წუთში კიდევ ორი. თურქი გრძნობდა, რომ დამარცხება არ აცდებოდა და უკანასკნელ წუთებში გააფთრებით ეკვეთა მოწინააღმდეგეს. მაგრამ ეს იყო ქანცგამოლეულის, განწირულის უკანასკნელი გაბრძოლება. მსაჯებმა გამარჯვება ერთხმად მიანიჭეს კარტოზიას.

ფინალში გივიმ ქულებით იოლად დაამარცხა გერმანელი ჰესი და მოიკრიფა ძალები უკანასკნელი შეხვედრისათვის იუგოსლაველ სიმიჩთან. ამ დროისათვის საბჭოთა მოჭიდავეებს როშინს, სტამკევიჩს, მანეევს, ტკაჩოვსა და კოტესს უკვე განაღდებული ჰქონდათ პირველი ადგილები. პირობა ყველამ პირნათლად შეასრულა — უკანასკნელი სიტყვა გივი კარტოზიას უნდა ეთქვა.

ტრადიციასავით დამკვიდრდა—ჩემპიონატის უკანასკნელ შეხვედრას მუდამ გივი ატარებს. ასე იყო კარლსრუეში მსოფლიო პირველობაზე, ასე იყო სტამბოლშიც. შეჯიბრება ფაქტიურად გივის უნდა დაეხურა. ხალხით სავსე სტადიონის ყურადღება მიპყრობილი იყო იმ ხალიჩისაკენ, სადაც გივი და სიმიჩი ჭიდაობდნენ.

... სიმიჩს უჭირდა. კარტოზია ქულას ქულაზე იგებდა. მოულოდნელად გივი თვალებით წააწყდა იუგოსლაველი მწვრთნელის გამოხედვას. იგი ისევ ისე მოუსვენრად ტოკავდა ადგილზე. ვიღაცამ ათრთოლებული ხმით დაიძახა.

სიმიჩ, ილი-ილი! — გივის არ დაუნახია ამ სიტყვების ავტორი, მაგრამ მიხვდა, რომ ეს ლიუბომირის (ასე ერქვა იუგოსლაველ მწვრთნელს) წამოძახილი იყო. სიმიჩ! რისკ! გაახსენდა გივის და გაეღიმა. „ილი-ილიც" ხომ ამას ნიშნავდა. ან სუფთა მოგება ან სუფთა წაგება. არა, გივისთან ეს არ გავა. რომელ მოგებაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც გივის მკლავები მარწუხებივით აქვს შემოჭდობილი სიმიჩს.

რამდენიმე წუთის შემდეგ მას სტადიონი მხურვალე ტაშით ულოცავდა გამარჯვებას. პირის დაბანაც კი ვერ მოასწრეს დაღლილმა მოჭიდავეებმა, როდესაც დიქტორმა გამოიძახა ისინი შეჯიბრების საზეიმო დახურვის ცერემონიალში მონაწილეობის მისაღებად. პროჟექტორების შუქით გაჩირაღდნებულ სტადიონზე თურქეთის ძველმა ფალავნებმა, დღეს მოხუცმა ჩემპიონებმა იაშარ დოგუმ, ნასუ აკარმა, მუსტაფა ჩაკმაკმა და სხვებმა დაუშვეს ჩემპიონატის ალამი.

შეჯიბრება დამთავრდა. სტამბოლი თავისი ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩადგა, მაგრამ საბჭოთა მოჭიდავეების გუნდს მაინც არ ჰქონდა მოსვენება. დაიწყო ოფიციალური ვიზიტები, ბანკეტები. სტუმართმოყვარეობის კანონების დარღვევა არ შეძლებოდა და ჩვენი მოჭიდავეებიც გაუთავებლად დადიოდნენ ქალაქის ერთი რაიონიდან მეორეში.

პირველი ოფიციალური მიღება, როგორც წესი, ქალაქის გუბერნატორმა გამართა თავის ბრწყინვალე რეზიდენციაში. შემდეგ ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ მოაწყო ბანკეტი პრინცის კუნძულებზე. პრინცის კუნძულები ქალაქის ფეშენებელური ნაწილია, ყოველი შეძლებული სტამბოლელი თავის ვალად თვლის აქ ბინის აშენებას.

შეჯიბრების პროცესში საერთაშორისო ფედერაციამ იმდენად გამოასწორა თავისი ფინანსური მდგომარეობა, რომ მისთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა ძვირფას, პირველხარისხოვან რესტორანში ყველა მონაწილისათვის ბანკეტი გაემართა. საღამოთი კი უკვე საბჭოთა მოჭიდავეები იყვნენ მასპინძლების როლში საბჭოთა საკონსულოში.

დიდი და საპასუხისმგებლო გამარჯვების შემდეგ კარგია ქალაქში თავისუფლად ხეტიალი, მისი ზნეჩვეულებისა და ცხოვრების შესწავლა. ყველაფერს ხალისით უყურებ, ყველაფერს აკვირდები, იმახსოვრებ. სანახავი მართლაც და ბევრი იყო, დასამახსოვრებელიც — არანაკლები. აი მაგალითად, სტამბოლში როგორც ჩანს ახალგაზრდობა დიდ ყურადღებას აქცევს საკუთარი ტანის სილამაზეს, ხელოვნურად ივითარებს კუნთებს. ჭიდაობის პოპულარობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. იმისათვის, რომ მოჭიდავეებს დაემსგავსონ, პატარები ყურებს კარებში იტანებენ, ხელოვნურად „იმტვრევენ". რას იზამ ბავშვებისათვის კანონები არ იწერება.

და კიდევ ერთი რამ. ისევე როგორც ყველა ევროპული ქალაქი, სტამბოლი ცხოვრობს მშფოთვარე, გაუმაძღარი ცხოვრებით, სადაც ფული ყველაფრის საზომი. ეს იგრძნობა ქალაქის ცენტრში, კომფორტაბელურ რესტორნებში, კაფეებსა და ღამის კაბარეებში. ეს იგრძნობოდა „მათხატფაშას" სტადიონზეც. სადაც შესასვლელი ბილეთი არაჩვეულებრივად ძვირი ღირდა, ეს იგრძნობოდა მუზეუმებშიც, კინოთეატრებში და სხვა გასართობ დაწესებულებებში. თურმე სტამბოლის პლაჟზეც კი ყოფილა თავისებური პრეისკურანტი. ადგილი წყალთან ახლოს უფრო ძვირი ღირს, ვიდრე მოშორებით.

საბჭოთა მოჭიდავეების დელეგაციამ 4 ივნისს დილით დატოვა სტამბოლი და ბელგრადისაკენ აიღო კურსი, ხოლო ორი დღის შემდეგ — მშობლიური მოსკოვისაკენ.

ნ. გუგუშვილი

* * *

სურათებზე: ზევით—მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გ. კარტოზია. ქვევით — გ. კარტოზია ჭიდაობის დროს.

შვიდი ძმა თქვენსკენ მოვდივართ

ბილიკი მთამდე მიგვიძღვა, —
იმ გადაბარდულ ღელემდე...
ჯიხვებს დავეძებთ შვიდი ძმა,
ალაზან გადაღმელები.

გადვივლით თქვენთა სამალავს,
ცას ვეღარ ჩამობერდებით.
თქვენი დღე მეპატარავა,
ეს ატყორცნილი ქედებიც.

გსურთ ციდან გადმოიხედოთ
და აღარა გრძნობთ არაფერს?
საით მიდიხართ ჯიხვებო,
რად ეტანებით ქარაფებს.

განა დამღალა ლოდინმა,
მიფარავს მთის ნაფერდალი,
შვიდი ძმა თქვენსკენ მოვდივართ,
შვიდი ძმა — შვიდი ბერდანით.

მოეფარებოდით სამალავს,
ქარაფებს როგორ ენდევით...
თქვენი დღე მეპატარავა,
თქვენი მშობელი ქედებიც...

საით წავიდა სიმშვიდე,
კლდეებზე წითლად ითოვა, —
შვიდთავ ვესროლეთ შვიდ-შვიდი.
შვიდ-შვიდი დავცით თითომა.

ა. აბულაშვილი

საუწყებო სპარტაკიადები

ტრადიციული შეჯიბრება

დამთავრდა „შრომითი რეზერვების" სკოლების IX ტრადიციული სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო სპორტის 11 სახეობა. სპარტაკიადამ ჩაიარა ორგანიზებულად, მონაწილეთა დიდი რაოდენობით.

სპარტაკიადაში პირველად მიიღეს მონაწილეობა წულუკიძის, სურამისა და სხვა სასწავლებლების სპორტსმენებმა.

კარგი მომზადება გამოავლინეს თბილისის მე-6 სახელოსნო სასწავლებლის სპორტსმენებმა, რომლებმაც პირველი ადგილები დაიკავეს ცურვაში, ქართულ და კლასიკურ ჭიდაობაში. ფეხბურთელთა შეჯიბრება დამთავრდა თბილისის რკინიგზის № 1 სასწავლებლის გუნდის გამარჯვებით. ამავე სასწავლებლის სპორტსმენებმა მოიგეს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში.

რუსთავის № 3 სასწავლებლის გუნდებმა გაიმარჯვეს კალათბურთსა და ფეხბურთში, ველოსპორტში — თბილისის რკინიგზის № 2 სასწავლებლის სპორტსმენებმა, ჭადრაკსა და შაშში — № 5 სახელოსნო სასწავლებლის წარმომადგენლებმა, ხოლო მძლეოსნობაში თბილისის № 11 სამხატვრო სასწავლებლის კოლექტივმა.

საერთო პირველი ადგილი დაიკავა № 6 სახელოსნო სასწავლებლის ნაკრებმა გუნდმა.

განვლილმა სპარტაკიადამ ცხადყო „შრომითი რეზერვების" სისტემაში მყოფი სასწავლებლების სპორტსმენთა კარგი მომზადება. ამჟამად წვრთნას გადიან ნაკრები გუნდები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ სპორტსაზოგადოების საკავშირო სპარტაკიადაში.

ხ. იოსებაშვილი

სტარტზეა მასწავლებლები

დამთავრდა თბილისის მასწავლებელთა საქალაქო სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობდა სხვადასხვა რაიონის 426 სპორტსმენი.

ცურვაში საერთო პირველობა მოიპოვა გარეუბნის მასწავლებელთა კოლექტივმა. მსროლელთა შორის საუკეთესო აღმოჩნდა კალინინის რაიონის გუნდი, მაგიდის ჩოგბურთში — 26 კომ. სახ. რაიონის ნაკრები.

კალინინის სახელობის რაიონის წარმომადგენლებმა გამარჯვება მოიპოვეს აგრეთვე ჭადრაკსა და კალათბურთში (ქალთა შორის). საერთო ჩათვლაში პირველ ადგილზეა კალინინის რაიონის გუნდი, მეორეზე — 26 კომისრის სახ. რაიონი, მესამეზე — ორჯონიკიძის რაიონი.

ი. ხაბეიშვილი

რესპუბლიკურ კომიტეტში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა: სპორტულ ჯანვარჯიშში — ე. ვ. ციხითათრიშვილს (თბილისი, „ბურევესტნიკი"); სასტენდო სროლაში — დ. გ. მოწონელიძეს (თბილისი, „მონკავშირი"); მძლეოსნობაში—დ. ს. ეფრემაშვილს (ქუთაისი, „ბურევესტნიკი"); ცურვასა და წყალბურთში — კ. გ. ბარნაბიშვილს (თბილისი, „ბურევესტნიკი").

ექვსი გროსმაისტერის მონაწილეობით

ჩეხოსლოვაკიის ქალაქ მარიანსკე ლაზნიაში დაიწყო საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც 20 მოჭადრაკე თამაშობს. შეჯიბრების მონაწილეთა შორის არიან საბჭოთა გროსმაისტერები ვ. რაგოზინი და ს. ფლორი, ჩეხი გროსმაისტერები ლ. პახმანი და მ. ფილიპი, არგენტინელი გროსმაისტერი გ. პილნიკი, შვედი გროსმაისტერი გ. შტალბერგი და სხვები.

სურათზე: მარჯვნივ — თიოპიის ფეხბურთელთა ერთი ფი. ვით — მეგობრობის ნიშნად თბილისელები და ეთიო- ელები მკერდე ნიშნებს უცვ- ან ერთმანეთს.

ფოტო მ. ზარგარიანისა

◆

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

◆

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲔᲗᲘᲝᲞᲘᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲗᲐᲜ, ᲔᲗᲘᲝᲞᲘᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙ ᲕᲝᲚᲓᲔ ᲡᲔᲚᲐᲡᲘᲙ ᲑᲔᲠᲔᲙᲔᲡᲗᲐᲜ

◆

ამხანაგური საერთაშორისო მატჩის ჩასატარებლად 14 ივნისს თბილისში ჩამოვიდა ეთიოპიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი. სტუმრებს აეროდრომზე გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს საქართველოს დედაქალაქის ფიზკულტურული და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში დელეგაციის ხელმძღვანელმა, ეთიოპიის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა პოლკოვნიკმა ვოლდე სელასიკ ბერეკემ განაცხადა:

— მასობრივ ფეხბურთს ჩვენს ქვეყანაში დიდი ხნის ისტორია არა აქვს. მისი ფართო კულტივირება დაიწყო მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. 1948 წლიდან რეგულარულად იმართება ეთიოპიის ოფიციალური ჩემპიონატები, ამავე წლიდან ვატარებთ საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრებსაც. პირველ წლებში ვხვდებოდით ჩვენს მეზობლებს — აფრიკის სახელმწიფოებს, შემდგომში ჩვენი სპორტული ურთიერთობანი უცხოეთის ქვეყნებთან გაფართოვდა. კერძოდ, 1954 წელს ეთიოპიის ნაკრებმა ხანგრძლივი ტურნე ჩაატარა იუგოსლავიაში, ჰოლანდიაში, ავსტრიაში, შვეციაში, საბერძნეთში, ეგვიპტეში, სადაც 20 მატჩი ჩავატარეთ ადგილობრივ უძლიერეს საკლუბო გუნდებთან. მართალია, ამ შეხვედრათა უმრავლესობა (12) წავაგეთ, მაგრამ 4 ფრედ დავამთავრეთ და 4 მოვიგეთ. თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენს საერთო მცირე სტაჟს ფეხბურთში, ეს არც თუ ისე ცუდი შედეგია. გარდა ამისა, ეთიოპიის ნაკრები გუნდის საშუალო ასაკი 23 წელს არ აღემატება. ეჭვი არაა, ეს ახალგაზრდა ფეხბურთელები მომავალში მნიშვნელოვნად აამაღლებენ თამაშის კლასს.

ეთიოპიის ფეხბურთის დელეგაცია 1952 წლიდან საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციის წევრია.

ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასში მონაწილეობს ქალაქების: ადის-აბების, დირედაუას, ასმარის 32 გუნდი. გარდა ამისა, ბევრია საკლუბო გუნდები ჯირანოში, ჯელედში, მაგალოში.

ეთიოპიის ნაკრებმა გუნდმა სულ ახლახან მონაწილეობა მიიღო ოლიმპიური თამაშების წინასწარ მატჩებში ეგვიპტესთან. ორივე მატჩი ჩვენი დამარცხებით დამთავრდა — 2:5 და 1:4.

ეგვიპტიდან ადის-აბებაში დაბრუნების შემდეგ ეთიოპიის გუნდმა მიიღო საბჭოთა კავშირში მიწვევა, რამაც, ბუნებრივია, დიდი კმაყოფილება გამოიწვია ჩვენს საფეხბურთო წრეებში.

მე პირადად საბჭოთა ფეხბურთის მაღალ შეფასებას ვაძლევ. 1954 წელს ავსტრიაში ყოფნისას პირველად ვნახე მოსკოვის „დინამო“, რომელმაც თავისი აგრესიული სტილით და მძლავრი შტევებით დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. ვფიქრობ, საბჭოთა კავშირის ნაკრები ერთ-ერთი ძირითადი პრეტენდენტი იქნება მელბურნის ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლებისათვის ბრძოლაში.

როგორც თქვენთვის ცნობილია, პირველი მატჩი სსრ კავშირში ჩვენ ჩავატარეთ ტაშკენტის „პახტაკორთან“. „ბ“ კლასის ერთ-ერთი ლიდერი თამაშობს ძლიერად, სწრაფად, მაღალ ტემპში. მოთამაშეები ტექნიკურად, ტაქტიკურად და ფიზიკურად კარგად არიან მომზადებული. ჩვენ მათთან წავაგეთ ანგარიშით 0:3.

თბილისის „დინამო“ „ა“ კლასის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს წარმოადგენს. ჩვენ ვიცით, რომ იგი „პახტაკორზე“ უფრო ძლიერია. მაგრამ ეს გარემოება მეტ პასუხისმგებლობას, მეტ ინტერესს იწვევს ჩვენში. ჩვენ აქ ჩამოვედით იმისათვის, რომ ვისწავლოთ საბჭოთა ფეხბურთელებისაგან, გადმოვიღოთ მათგან ყველაფერი კარგი, ავიმაღლოთ თამაშის კლასი.

ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბრის დასასრულ ვოლდე სელასიკ ბერეკემ განაცხადა:

ნება მომეცით, თქვენი გაზეთის საშუალებით გულითადი სალამი გადავცე საქართველოს მშრომელებს, სპორტსმენებს, რომლებიც ასე გულთბილად შეხვდნენ ეთიოპიის ფეხბურთელებს.

ფეხბურთი

ცხრილი

რითადი შემადგენლობანი
მდგომარეობა 17 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ტაკი“	13	8	3	2	41:18	19
ედო“	11	6	3	2	22:14	15
ევ“.	12	7	1	4	26:28	15
ამო“ ქ.	12	4	6	2	14:13	14
ამო“ თბ.	12	4	4	4	19:16	12
ამო“ მ.	12	3	6	3	15:16	12
ა	12	3	4	5	18:19	10
ომოტივი“	11	3	4	4	15:13	10
ტი“	11	1	8	2	12:15	10
რეზერვ“.	11	2	4	5	14:19	8
ტიორი“	12	1	6	5	11:24	8
ახლო სვ.	11	3	1	7	15:27	7

• • •

ᲚᲡᲝᲕᲘ. 14 ივნისი. (ტელეგ- ი). მოსკოვის „სპარტაკისა“ და ის „დინამოს“ მატჩს ათარე- მაყურებელი დაესწრო. უკვე წუთზე ჰკუასელმა გარღვევაზე ანა ლოლობერიძე, რომელმაც ს ანგარიში. მალე სალნიკოვმა ანა საპასუხო გოლი — 1:1.

ვენების შემდეგ ჰკუასელმა უძ- ესი დარტყმით დაამთავრა სწრა- ომბინაცია, მაგრამ მოსკოველებ- მინვე შეძლეს ანგარიშის გათა- ბა.

ლოში „სპარტაკის“ თავდამს- მა ისაევმა 2 ბურთი კიდევ გაი- და მატჩი დამთავრდა სპარტა- თა გამარჯვებით ანგარიშით 4:2.

სანიშნავია, რომ მეორე ტაიმში ბული ტრავმის გამო სრული ძა- ვერ თამაშობდნენ ლოლობერიძე გუნიძე, რამაც მნიშვნელოვანი ნა მოახდინა თამაშზე.

სკოველებმა მოიგეს დუბლიორ- მატჩიც — 4:0.

3 ივნისს მოსკოვის „დინამომ“ და- ებმა განიცადა კიევის თანაკლუ- ებთან — 0:2.

ვნის მოსკოვში ერთმანეთს შეხ- ნ ცდსა და „შახტიორი“. გაი- ვა „შახტიორმა“ — 1 : 0.

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ

13 ივნისს სტამბოლის „ფენერ- ჩე“ ლენინგრადში შეხვდა ადგი- ბრივ „ზენიტს“. ანგარიშით 2 : 1 მარჯვეს თურქმა ფეხბურთე- ებმა.

ავე დღეს ტაშკენტის „პახტა- რმა“ თავის მოედანზე მიიღო ოპიის ნაკრები. მატჩი მოიგო ახტაკორმა“ — 3 : 0.

14 ივნისს „ვისმუტმა“ (გდრ) ამარცხა სვერდლოვსკის ოფი- ერთა სახლის გუნდი — 1 : 0.

შვეციის „სტიურეს“ მორიგი შეხ- ედრა ჰქონდა 15 ივნისს. შვედებმა ლნიუსში დამარცხება განიცადეს ადგილობრივი „სპარტაკისაგან“ — :2.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

11 ივნისს ჩაიმართა მე-11 ტური საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში პირველი ჯგუფის გუნდებს შორის.

სტალინირში ადგილობრივმა „სპარტაკმა“ მიიღო თბილისის „ლოკომოტივი“. პირველ ტაიმში რკინიგზელებმა გაიტანეს ბურთი მასპინძელთა კარში, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა.

გაიმარჯვა „ლოკომოტივმა“ — 1:0.

• • •

თბილისში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ I და ახალქალაქის ნაკრები. თამაში საინტერესო გამოდგა. ორივე გუნდი თავგამოდებით იბრძოდა გამარჯვებისათვის. მატჩი დამთავრდა ანგარიშით 1:1.

• • •

დედაქალაქის ორი კოლექტივის — ტტს-ისა და 26 კომისრის სახელობის რაიონის ფეხბურთელთა შეხვედრა მიმდინარეობდა ტრამვაელთა აშკარა უპირატესობით. 90 წუთის განმავლობაში მათ მოწინააღმდეგის კარში გაიტანეს ათი „მშრალი“ ბურთი — 10:0.

• • •

გორში ადგილობრივი „დინამო“ შეხვდა ფოთის „ბურევესტნიკს“. თამაშის პირველ ნახევარში მასპინძლებმა გახსნეს ანგარიში, მაგრამ მეორე ტაიმში იგი ფოთელებმა გაათანაბრეს — 1:1.

• • •

რუსთავის „მეტალურგმა“ თავის მოედანზე მიიღო ქუთაისის „დინამო“. თამაშის პირველი ნახევარი მიმდინარეობდა დინამოელთა უპირატესობით, რომელთაც მოწინააღმდეგის კარში გაიტანეს ორი ბურთი. შესვენების შემდეგ მეტალურგები გააქტიურდნენ. ისინი ხშირად უტევდნენ მოწინააღმდეგის კარის მისადგომებს, მაგრამ ქუთაისლებმა შეძლეს მატჩის მოგება — 4:2.

• • •

ბათუმში ითამაშეს ადგილობრივმა და სოხუმის დინამოელებმა. სტუმრებმა თამაშის დაწყებიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა და აჩვენეს ტაქტიკურად გააზრებული თამაში, მაგრამ მათ მიერ კარგად გათამაშებული კომბინაცია მიზანს ვერ აღწევდა. ორივე გუნდის გამუდმებული იერიშების მიუხედავად ანგარიში არ გახსნილა — 0:0.

• • •

ქობულეთის „კოლმეურნე“ თავის მოედანზე შეხვდა ქუთაისის „ტორპედოს“. თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა 2:1 ტორპედოელთა სასარგებლოდ. მეორე ტაიმში ქობულეთელებმა ხელიდან გაუშვეს ანგარიშის გათანაბრების რამდენიმე შესაძლებლობა. თავდამსხმელები თამაშობდნენ უსისტემოდ. მატჩი მოიგო „ტორპედომ“ — 2:1.

• • •

მახარაძის „კოლმეურნემ“ დაამარცხა ახალგაზრდათა ფეხბურთის სკოლის გუნდი — 1:0.

ᲜᲝᲠᲩ ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲗᲐ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

რამდენიმე დღეში დაიწყება „ნორჩი დინამოელის“ ფეხბურთელთა ტრადიციული საკავშირო შეჯიბრება ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, თბილისის, ხარკოვის, მინსკის, სტალინგრადის, როსტოვის, კუიბიშევისა და სხვა ქალაქების გუნდები, რომლებიც დაყოფილი არიან ზონებად. როგორც წესი, ზონებში გამარჯვებულნი ერთმანეთს შეხვდებიან ფინალურ გათამაშებაში, რომელიც ბრიანსკში მოეწყობა.

სხვა ზონათა შორის შექმნილია საქართველოს ზონაც. მასში მონაწილეობენ თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და სოხუმის გუნდები. ქუთაისის ნორჩი დინამოელები თავის მოედანზე მიიღებენ თბილისის გუნდს, ხოლო ბათუმში ითამაშებენ ადგილობრივი და სოხუმის ფეხბურთელები. გამარჯვებულები ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან თბილისში 26 ივნისს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ზონალური მატჩების წინ ჩატარდება გუნდების შეჯიბრება ტექნიკური ნორმატივების მაჩვენებელთა მიხედვით. მასში შედის შემხვედრი ესტაფეტა 11×60, ბურთის ტარება ცენტრალური წრის გარშემო დროის ჩათვლით, აგრეთვე ბურთის ტარება დგარებს შორის შემდგომი კარში დარტყმით განსაზღვრული მანძილიდან (თუ ბურთი აცდა მიზანს, მოთამაშე თვითვე უკან უნდა მოიტანოს იგი და გაიმეოროს დარტყმა).

ამ ტურნირის უცვლელი ჩემპიონი, თბილისის გუნდი, შეუდგა გათამაშებისათვის სამზადისს. მართალია, შარშანდელი შემადგენლობიდან კოლექტივს გამოაკლდა 8 მოთამაშე, რომლებიც მაღალი კატეგორიის გუნდებში იქნენ გადაყვანილნი, მაგრამ მათი ადგილები შევსებულ იქნა 1939-40 წლებში დაბადებული ფეხბურთელებით, რომლებიც სისტემატურ წვრთნას გადიან სპორტის დამსახურებული ოსტატის გ. გაგუას ხელმძღვანელობით.

გუნდის შემადგენლობაში არიან ნ. ასათიანი, ნ. ახალკაცი, ო. კანდელაკი, თ. ცერცვაძე, გ. იაშვილი, დ. თათარაშვილი, რ. პაიჭაძე, ა. ლისაკანენკო და სხვ.

თბილისის ნორჩი დინამოელის ახალმა შემადგენლობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ შეინარჩუნოს წინა წლებში მოპოვებული მაღალი მაჩვენებლები.

ა. გოგუაძე

ჭადრაკი

ბელგრადის ტურნირი

დღეს ბელგრადში დაიწყება საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის უძლიერეს მოჭადრაკეთა ამხანაგური მატჩ-ტურნირი.

ამხანაგურ მატჩ-ტურნირში მონაწილეობისათვის იუგოსლავიის დედაქალაქში უკვე ჩავიდნენ საბჭოთა გუნდის წევრები გროსმაისტერები ვასილი სმისლოვი, პაულ კერესი, დავით ბრონშტეინი, მარკ ტაიმანოვი, ეფიმ გელერი, ტიგრან პეტროსიანი, იური ავერბახი, ისააკ ბოლესლავსკი და გუნდის სათადარიგო წევრები: საერთაშორისო ოსტატები ვიქტორ კორჩნოი და ვლადიმერ სიმაგინი.

იუგოსლავიის გუნდის შემადგენლობაშია: გროსმაისტერები გლიგორიჩი, ივკოვი, მატანოვიჩი, პირცი, ტრიფუნოვიჩი, მილიჩი, კარაკლაიჩი, რაბარი, ჯურაშევიჩი და უდოვჩიჩი, შეჯიბრება ჩატარდება ე. წ. შევენინგენის სისტემით, როდესაც ერთი ქვეყნის მოჭადრაკე არ ხვდება თავისი ქვეყნის დანარჩენ მოჭადრაკეებს და ეთამაშება მხოლოდ სხვა ქვეყნის გუნდის ყველა წევრს.

• • •

იუგოსლავიაში ჭადრაკის ფართო განვითარებას ხელი შეუწყო ახალგაზრდა იუგოსლავი გროსმაისტერის მილან ვიდმარის წარმატებებმა XX საუკუნის დასაწყისში. ამ დროს ჭადრაკით დაინტერესდა ხალხი და სულ მალე იგი იუგოსლავიის სპორტული ცხოვრების ერთ-ერთი წამყვანი სახეობა გახდა. მეორე მსოფლიო ომამდე იუგოსლავიაში ხშირად იმართებოდა შეჯიბრებები, რომლებშიც მონაწილეობა მიუღიათ მსოფლიო ჩემპიონს ა. ალიოხინს, გროსმაისტერებს მ. ეივეს, ს. ფლორსა და სხვებს. მაგრამ ამ ქვეყანაში საჭადრაკო ხელოვნებამ ინტენსიურად დაიწყო განვითარება მხოლოდ იუგოსლავიის სახალხო ფედერაციული რესპუბლიკის შექმნის შემდეგ. ახლა იქ ჩამოყალიბებულია მოჭადრაკეთა კლუბები, რომლებიც გაერთიანებული არიან რესპუბლიკურ საჭადრაკო საბჭოში (სექციაში).

საჭადრაკო მუშაობას ხელმძღვანელობს რესპუბლიკის საჭადრაკო სექციის ცენტრალური სამმართველო. იგი პერიოდულად იწვევს პლენუმებს, სადაც იუგოსლავიის შვიდივე რესპუბლიკის საჭადრაკო საბჭოების წარმომადგენლები მონაწილეობენ. საჭადრაკო მუშაობის დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტით ხდება.

იუგოსლავიაში ხშირად ეწყობა შეჯიბრებები. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს რესპუბლიკის გუნდური პირველობა, რომლის მონაწილენი ორ ჯგუფად არიან დაყოფილი. გარდა რესპუბლიკის პირადი პირველობისა ტრადიციული გახდა სახალხო გმირების ბრანკო მედინიცისა და იოტცე მილეტიჩის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირები.

დიდი მუშაობაა გაჩაღებული ახალგაზრდა მოჭადრაკეთა შორის. ცნობილია, რომ 1951 წელს მსოფლიოს პირველი ჩემპიონის სახელი ჭაბუკ მოჭადრაკეთა შორის მოიპოვა ბორისლავ ივკოვმა. ამჟამად ქვეყნის ჩემპიონია ბელგრადელი ჭაბუკი ოსტატობის კანდიდატი ვუკჩევიჩი.

იუგოსლავიაში შედარებით მცირეა მოჭადრაკე ქალების რაოდენობა. მაგალითად, კლუბ „სლავიას“ 350 წევრთა შორის მხოლოდ 12 ქალია. ამჟამად იუგოსლავიაში ხუთი ოსტატი ქალია (ნედელკოვიჩი, ლაზარევიჩი, ტიმოფეევა, ნაჯი და ველიმიროვიჩი). პირველმა ორმა გასულ წელს მოსკოვში გამართულ ქალთა მსოფლიო ჩემპიონის სახელის პრეტენდენტთა ტურნირში წარმატებისათვის მიიღო საერთაშორისო ოსტატის სახელი. მზარდ მოჭადრაკეთა შორის ყურადღებას იქცევს 13 წლის კატერინა იოვანოვიჩი, რომელმაც ბელგრადის ჩემპიონატში ოსტატ ტიმოფეევასთან I-II ადგილები გაიყო.

უკანასკნელ წლებში იუგოსლავიის მოჭადრაკეებმა საერთაშორისო ასპარეზზე სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს. 1950 წელს მათ მოიპოვეს მსოფლიოს გუნდური ჩემპიონის სახელი, ხოლო 1952 და 1954 წლებში III ადგილზე გავიდნენ. აღსანიშნავია ახალგაზრდა იუგოსლაველი გროსმაისტერების ა. მატანოვიჩისა და ბ. ივკოვის დიდი წარმატებები. მატანოვიჩმა გაიმარჯვა ჰამბურგის საერთაშორისო ტურნირში და საპრიზო ადგილები დაიკავა ბელგრადისა და ზაგრების საერთაშორისო შეჯიბრებებში. ივკოვმა კი შესანიშნავი თამაშით I ადგილები დაიკავა ბუენოს-აირესისა და მარ-დელ-პლატის საერთაშორისო ტურნირებში, რომლებშიც მონაწილეობდნენ ევროპისა და ამერიკის უძლიერესი მოჭადრაკეები.

თ. გიორგაძე

ფელეტონის მაგიერ

ყურადღება! მოისმინეთ სპორტის ახალი ამბები

მინდა გავიზიაროთ, თუ როგორ „ზრუნავენ“ თბილისის „დინამოს“ სტადიონის რადიოდიქტორები მაყურებლებზე. ვთქვათ, 11 ივნისს, თქვენ ზიხართ სტადიონზე და უცქერით თბილისის ოფიცერთა სახლისა და ალმა-ატის „უროჟაის“ ფეხბურთელთა გუნდების მატჩს.

თავდება პირველი ტაიმი და მაყურებლებმა შესვენების დროს რომ არ მოიწყინონ, იწყება რადიოდიქტორთა „ვარჯიში“, დიახ ვარჯიში!

მაგალითად, ყურს „ატკბობს“ სპორტის უკანასკნელი ამბები...

თქვენ იქნებ გაინტერესებთ „უროჟაი“ „ბ“ კლასის გუნდებს შორის გათამაშებაში რომელ ადგილზე იმყოფება, ან ამ გუნდის მცირე ისტორია, მათი მოგებები, მომავალი შეხვედრები? უკაცრავად, ასეთ რამეს სტადიონზე დიქტორებისაგან ვერ გაიგებთ. სამაგიეროდ უხვად მოისმენთ რა მოხდა ერთი-ორი კვირის წინათ სპორტში, ეს ხომ თქვენ დიდი ხანია იცით გაზეთებიდან, მაგრამ რას იზამთ, კვლავ უნდა მოისმინოთ. შეიძლება დიქტორებმა სულ დაგაბნიონ, მაგრამ ესეც უნდა მოითმინოთ, მაშ როგორ გინდათ!

მაგალითად. თქვენ იცით, რომ რიგის „დაუგავამ“ მოუგო ბელგიის ფეხბურთელთა გუნდს 5:1. აქ კი ისმენთ პირიქით. აქ უკვე იბნევით და აღარ იცით ვის დაუჯეროთ მოსკოვის რადიოს გაზეთებს თუ თბილისის „დინამოს“ სტადიონის რადიოკომენტატორებს?!

მაგალითად, თქვენ ადრე იცოდით, რომ მატჩი ტაშკენტის ფეხბურთელთა გუნდის „პახტაკორისა“ და თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდებს შორის დანიშნულია 15 ივნისს, მაგრამ რადიოდიქტორი (რუსულ ენაზე) გვაცნობებს ცვლილებებს, რომ ეს მატჩი გადატანილია 17 ივნისისათვის.

გიშველა ღმერთმა, დიდი მადლობა დაზუსტებისათვის, მაგრამ ხუთი წუთის შემდეგ მეორე დიქტორი ქართულ ენაზე აცხადებს, რომ ეს მატჩი შედგება 16 ივნისს. აი, ხათაბალა. მოდი ახლა და გაიგე! წადი და გააფრთხილე ოჯახში მეუღლე როდის გაქვს „კრება“ 15, 16 თუ 17-ში?

აი, ასეთ უკანასკნელ ცნობებს შეუძლია გამოიწვიოს ეგრეთწოდებული ოჯახური ომი, მერე და რას გვერჩიან?

მოდით ძვირფასო დიქტორებო, ერთ რამეში შევთანხმდეთ. ყურადღება: ან მართლაც უკანასკნელი ცნობები მოგვასმენინეთ, რომელიც უკვე გადაღეჭილი არ არის, ან არადა ჩვენი ასეთი გართობის ნაცვლად საკუთარი თავი გაირთეთ, თორემ წინ კიდევ მრავალი საინტერესო მატჩია და თუ ასე განაგრძეთ, ან მეზობელთა მიერ შევიწროებას ვერ გადავურჩებით, ან თქვენს უკანასკნელ სპორტულ ამბებს.

ქ. გელათელი

დედაქალაქში უდიდესი

ვინც ოთხიოდე თვის შემდეგ საბურთალოს ბაზარზე რამეს შესაძენად შეივლის, გაკვირვებული დარჩება. ძველი ბაზრის ადგილზე მას დახვდება დიდი სამშენებლო უბანი, სადაც ასობით მუშა, ავტომანქანა, ექსკავატორი და სხვა ტექნიკური მოწყობილობა იმუშავებს დედაქალაქში უდიდესი სადემონსტრაციო დარბაზის მშენებლობაზე.

პროექტის მთავარმა არქიტექტორმა ი. კასრაძემ ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში შემდეგი განაცხადა:—ცნობილია, რომ თბილისელი სპორტის მოყვარულების მოთხოვნას ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს დღემდე არსებული დარბაზები, ისინი საწვრთნელ ბაზებს უფრო წააგავს, ვიდრე სადემონსტრაციოს. სწორედ ეს გარემოება გავითვალისწინეთ, როცა სადემონსტრაციო დარბაზის პროექტზე მუშაობას ვიწყებდით. არქიტექტორ ვ. მესხიშვილსა და კონსტრუქტორ ლ. ქაჯაიასთან ერთად კარგახანს ვსწავლობდით დღემდე არსებული დარბაზების თავისებურებებს, ვაზუსტებდით და ვხვეწდით არქიტექტურულ მხარეს. ჩვენს მიერ შემუშავებული პროექტის მიხედვით ახალმა სპორტულმა ნაგებობამ 10 ათასი მაყურებელი უნდა დაიტიოს. მთლიანად შენობა დაიკავებს 7 ათას კვადრატულ მეტრ ფართობს, რომლის ირგვლივ მოეწყობა ბაღი და 400-მდე მსუბუქი ავტომანქანის გასაჩერებელი ადგილი.

დარბაზის ცენტრში მოთავსებული იქნება სპორტული სარბიელი 25×40 მეტრზე. ამ ფართობზე შეიძლება ჩატარდეს შეჯიბრებები კალათბურთში, ფრენბურთში, ჩოგბურთში, კრივში, ჭიდაობაში, ძალოსნობაში, ტანვარჯიშსა და სპორტის სხვა სახეობებში, აგრეთვე სხვა მასობრივი ღონისძიებანი. დარბაზი ისე დაგეგმილი, რომ მისი სრული დატვირთვის შემთხვევაშიც კი სანახაობათა დამთავრების შემდეგ 10-12 წუთში მთლიანად დაიცლება.

პროექტის შედგენისას განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით სპორტსმენთა უკეთ მომსახურების საქმეს. გათვალისწინებულია კომფორტაბელური გასახდელები და საშხაპეები, აუზი აბაზანებისათვის, მსაჯთა ოთახი, სამედიცინო პუნქტი, სათავსოები სპორტინვენტარისათვის. აქ იქნება საკუთარი რადიოკვანძი.

იმ დაწესებულებაში, სადაც ესოდენ მრავალრიცხოვანი მაყურებელი მოიყრის თავს, აუცილებელია ჰაერის გაწმენდის ახლებურად გადაწყვეტა. ამ მიზნით მოეწყობა დარბაზის ხელოვნური ვენტილაცია, რომელიც რეგულარულად მიაწვდის დარბაზს ახალ, სუფთა ჰაერს. „სპარტაკის“ სადემონსტრაციო დარბაზში მოწყობილი იქნება „დამალული“ განათება.

დარბაზისათვის ქარხნებში დამზადდება შენობის ცალკეული დეტალები, რომელთა აწყობა მოხდება ადგილზე. რაც შეეხება სახურავს, იგი 73 მალისაგან შედგება, რომელიც ერთ მთლიან მასივად იკვრება რკინა-ბეტონისაგან.

დარბაზის ასაშენებლად დაიხარჯება 12 მილიონ 800 ათასი მანეთი. ამ თანხიდან წელსვე ათვისებულ იქნება 2,5 მილიონი მანეთი. დარბაზის ფასადი ეკლარის ქვით მოპირკეთდება.

ამ დღეებში თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასკომის წითელ დარბაზში პარტიის თბილისის კომიტეტის ინიციატივით მოეწყო პროექტის საჯარო განხილვა, რომელსაც ამ საქმის სპეციალისტების გარდა, ესწრებოდნენ სპორტსმენებიც. პროექტის განხილვამ ჩვენ, ავტორებს ბევრი რამ შეგვძინა ამხანაგებმა პროექტის ზოგიერთი დეტალის სრულყოფისათვის მრავალი მნიშვნელოვანი წინადადება წამოაყენეს.

• • •

სურათზე: დედაქალაქის სადემონსტრაციო დარბაზის საერთო მაკეტი.

ფოტო დ. იაკობაშვილისა.



რამდენიმე ფაქტი

ოჯახური სიურპრიზი

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, ქვემძიმე წონის მოკრივე, პროფესიონალი, ინგლისელი ფრედი მილზი ახლა სატელევიზიო სადგურში მუშაობს და პერიოდულად გამოდის ტელეობიექტივის წინ. იგი მაყურებელს გადასცემს ვარჯიშების სერიას — „როგორ უნდა მოვიპოვოთ სპორტული ფორმა“.

ერთხელ, ფრედ მილზმა წერილი მიიღო ერთ-ერთი ენთუზიასტი მაყურებლისაგან, რომელიც წერდა: ძალიან დიდი მადლობელი ვარ თქვენი. ისეთ ბრწყინვალე ფორმაში ჩავდექი, რომ ამას წინათ თითქმის ნოკაუტში ჩავაგდე ქმარი.

ზატოპეკის საჩუქარი

1956 წლის იანვარში ცნობილმა ჩეხმა მორბენალმა ემილ ზატოპეკმა იმოგზაურა ინდოეთში და მონაწილეობა მიიღო შეჯიბრებებში აღმოსავლეთ ბენგალიის პირველობაზე მძლეოსნობაში გამართულ შეჯიბრებაში 5.000 და 10.000 მეტრზე მან მოუგო ინდოეთის ჩემპიონს გულზარა სინგხს. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ გულზარა სინგხმა ზატოპეკის ფეხსაცმელებიდან მოხვეტა მტვერი და თავზე დაიყარა. ამ ამბით გაოცებულმა ზატოპეკმა მხურვალედ გადაკოცნა ინდოელი მორბენალი და აჩუქა მას თავისი სარბენი ფეხსაცმელი.

„ფენომენი №1“

1936 წელს ბერლინში გამართულ ოლიმპიურ თამაშებში ვერცხლის მედალი მოიპოვა დეივ ოლბრიტონმა. იგი სიმაღლეზე გადახტა 2,07 მეტრზე.

ახლა დეივ ოლბრიტონი 42 წლისაა. მიუხედავად ამისა, მას მაინც საუკეთესო მაჩვენებლები აქვს სიმაღლეზე ხტომაში. ამას წინათ იგი გადახტა 193 სმ სიმაღლეზე. ამ მიღწევისათვის უცხოეთის პრესამ მას უწოდა „სპორტის ფენომენი № 1“.

ჩემპიონის ფოსტა

ქალთა შორის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ხლართში ჟენეველი სტუდენტი რენე კოლიარი შვეიცარიელებმა თავიანთ გუნდში არც კი შეიყვანეს, რადგან მას, ჯერ ერთი, არ თვლიდნენ კარგ სლალომისტად და, მეორეც, მისი სახელი არ იყო ცნობილი სპორტის მოყვარულთა ფართო წრისათვის. მხოლოდ 1956 წლის ზამთრის შეჯიბრებებში ნაჩვენები საუკეთესო შედეგებით მოიპოვა მან კორტინა დამპეცოში გამგზავრების უფლება. აქ კი რენე კოლიარმა, როგორც ცნობილია, მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა. სწორედ ამის შემდეგ საქვეყნოდ ცნობილი გახდა მისი სახელი. ახლა ის ყოველდღიურად იღებს აუარებელ საჩუქრებს, წერილებს... თაყვანისმცემლები მოსვენებას არ აძლევენ. თებერვალში მიიღო ოთხი წერილი, სადაც მას ცოლად გაყოლას თხოვდნენ.

მოულოდნელი საჩუქარი

ფრანგ შუბისმტყორცნელ მასკეს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მას ფოსტალიონმა ამანათი ჩააბარა.

— თქვენ მისამართი შეგეშალათ. ეს მე არ მეკუთვნის. რომში ნაცნობი არა მყავს და არც ველოდები ამანათს იტალიიდან.

— არა, — დაჟინებით იმეორებდა ფოსტალიონი, — ეს ამანათი გეკუთვნით თქვენ, მხოლოდ თქვენ.

მიშელ მასკემ გამოართვა ამანათი, რომელშიც აღმოჩნდა პატარა ქანდაკება. მასკემ უკან დააბრუნა ფოსტალიონი და გულმოსულმა თხოვა უკან წაეღო ამანათი და პატრონისათვის ჩაებარებინა.

მალე ყველაფერი ცნობილი გახდა. მასკემ იტალიის მძლეოსანთა ფედერაციიდან მიიღო წერილი, რომელშიც წერდნენ: გიგზავნით სამახსოვრო საჩუქარს — პატარა ქანდაკებას, რადგან თქვენ პირველმა რომანული ქვეყნებიდან ყველაზე შორს — 70 მეტრზე — ტყორცნეთ შუბი.

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი. ლენინის ქ. № 14.

უე 03644